სამშობლო

სამშაბათი
22 მარტი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 ქ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭვდა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 316 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 316

ტელეფონი № 76. ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა,
თრივ ტკბილია ძმობილთ მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„**სამშობლო**“-ზე

ქ. ქუთაისი. **წელიწადი მეორე.** ქ. ქუთაისი.

გაზეთი გამოვა

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ. სოფ. სამკითხვ. დაეთმობათ 6 მ. სოფ მასწავლებლებლები 7 მ. წლიურ.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე** გამომცემელი ამხანაგობა „**სამშობლო**“

ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფე

გრიგოლ სარდიონის ძე აბზიანიძე,

რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ უზომოთ დამწუხრებულნი მშობლები: სარდიონ დავითის ძე და ეკატერინე ივანეს ასული ძმები: ტარასი და ვლადიმერ აბზიანიძენი, რძალი სონია იაკობის ასული აბზიანიძისა, დები: ლიზა აბზიანიძე, ვერა ძაგნიძისა და ალექსანდრა ჯობაძისა, ბიძები, ივლიანე, ისიდორე, და ნიკო აბზიანიძენი, ბიცოლები: მაკრინე, მარიამი და ფოტინე აბზიანიძეებისა და სიძეები: მიხეილ კონსტანტინეს ძე ძაგნიძე და ალექსანდრე ალექსის ძე ჯობაძე.

გამოსვენება და დაკრძალვა დანიშნულია 22 მარტს, დღით სამშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე, ძველი ლაგირის ქუჩა, საკუთარი სახლი. 1—1

მეუღლე სარა ოქროპირის ასული როინიშვილისა, სიდედრი ნატალია და სიმამრი ოქროპირი, ცოლის დები: აგრაფინა, პოლექსია, ელენე, სოფიკო და ნინო, ცოლისძმები: ალექსანდე და რაფიელ ქურციკიძეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობართ

მინა ნიკოს ძის როინიშვილის

გადაცვალებას.

დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 22 მარტს, დაბა ზესტაფონში, ნაშუადღევის 3 საათზე. 1—1

103

უდროოთ გულდაჩაგრული დედა სელო როინიშვილისა, ძმები: ივლიანე და ბიქტორ, როინიშვილები, დები: ივლიტა ჰუმბურიძისა, ლიზა მარჯანიშვილისა და კატო გურეშიძისა, რძალი დარიკო როინიშვილისა, ძმისძულები: პრაპორშჩიკი ნიკოლოზ გრიგოლ, ანიჩკა და ალექსანდრე როინიშვილები, დისწულები: ვანო, აკაკი, კოლია და მიხაკო ჰუმბურიძეები და სიმონ და გრიგოლ მარჯანიშვილები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა ნაცნობთ და მეგობართ.

მინა ნიკოს ძის როინიშვილის

გადაცვალებას.

დაკრძალვა მოხდება 22 მარტს, სამშაბათს, დაბა ზესტაფონში, ნაშუადღევის 3 საათზე. 1—1

104

მამა აზნ. სოლომონ ალექსის ძე ახვლედიანი მეუღლით. ძმა. პოდპორუჩიკი მამია სოლომონის ძე ახვლედიანი, დედობილი ნიფადორა ნიკარაძის ასული მღივნისა და ბიძა თ-დი მინა მახეილის ძე ნიკარაძე გულდამწუხრებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პროვიზორის თანაშემწის

მიხეილ სოლომონის ძის ახვლედიანის

გარდაცვალებას.

მიცვალებულს მოასვენებენ ქ. თბილისიდან ქუთაისის სადგურზე 23 მარტს, დღით ოთხშაბათს საიდგანაც გამოსვენება მოხდება დილის 7 საათზე.

ექიმი მულინი. ყელის, ცხვირის და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა. 10

ექიმი ა. მ. ახათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავათმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 2. 11 თ.

ელექტრო „**ამპირი**“ თეატრი

კვირიდან, 20 მარტიდან, ნაჩვენები იქნება, მხოლოდ მოზრდილთათვის

გერმანელების დამარცხება შამპანში.

საყურადღებო ომის სურათი.

მოახლე ქალის დღიური.

ოჯახური ქრონიკიდან.

ფარული იარა.

6 ნაწილად, ოქტავ მირბოს რომანიდან.

ანონსი: პარასკევიდან, 25 მარტიდან ნაჩვენები იქნება **ნახევრათ ქალწულნი** კინო რომანი 4 ნაწილად, მაღალ წრეთა ცხოვრებიდან. ცნობილ ფრანგ მწერლის მარსელის რომანიდან. დიდი შურომსკის მონაწილეობით.

ელექტრო „**რადიუმი**“ თეატრი

კვირიდან, 20 მარტიდან, 1916 წ. ნაჩვენები იქნება

პატე ჟურნალი № 336. მიმდინარე ამბებიდან.

შენს გმირობას თაყვანსა ვსცემ.

ძლიერი დრამა 4 ნაწ. ცნობილ რუს მსახიობთა **ლისენკოსა** და **პანოვის** მონაწ.

პრენსი და მისი ლამაზი ფარეში.

ანონსი: პარასკევიდან, 25 მარტიდან დასჯკნა ბაღში ხრიზანტემა **ი. ი. მოზჟუხინის მონაწილეობით.**

კვასი „ესპერანტო“.

ადუღებული წყლით, პურით და ხილეულობით მომზადებული, ანალიზ გაკეთებული, მარგებელი, სასიამოვნო სასმელი, იყიდება თფილისის ქუჩაზე ვლადიმერ წერეთლის სარდაფში, ერთი ლიმონათის და ნარზ ნის ბოთ. 7 კ., ბორჯომის ნახევარი ბოთლი 8 კ., პივის ბოთლი 10 კ., შამპანსკის ბოთლი 12 კაპ., ბორჯომის ბოთლი 15 კაპ.,

ვინც ამ ბოთლებს ადგილობრივ გაახსნევინებს და მიირთმევს, ან თავის ბინაზე მიატანინებს ყველა ბოთლის ფასზე თითო კაპიკი მოემატება ფასი.

კვასი შეინახეთ ცივათ, გაძლებს ათ დღეს და მეტსაც.

თუ კვასი ტკბილი და უგაზოა—შეაჩერეთ ერთ დღეს და დამაჰრდება.

კვასი ერთნაირი კეთდება' თუ უვარგისობით განსხვავდება ნახოთ, მოსთხოვეთ მომტანს პასუხი, რადგან ჩვენ იარლიკიან ბოთლებში თურმე სხვებიც ამზადებენ ნამალევათ თავის კვასს.

პატივისცემით კვასის მწარმოებელთა **გამგეობა.**

12—3

ს./ს. **ი. გოკიელის** შვილების ქუთაისში

ამით აუწყებს პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ

მიიღეთ ცნობილი აბრეშუმის თესლი

ხ. ხრისტოდულიდის.

მისამართი წერილებისთვის: ქუთაისი, სავ. სახ. ი. გოკიელის შ-ბის,

დეპეშისთვის: ქუთაისი, გოკიელებს.

თ. 60

---

25 მარტს, ქუთაისის ქართულ თეატრში გაიმართება

შიოს დილა.

შიო მღვიმელის იუბილეს მომწყობი კომისია აუწყებს იმ პირთ და დაწესებულებებს, ვისაც სურთ მონაწილეობა მიიღონ, ჩაეწერონ ქუთ. ქალაქის ქალთა ორ კლასიანი სასწავლებლის გამგესთან 24 მარტამდი, გენერლის ქუჩაზე. გამგის ნახვა შეიძლება 12—3 საათამდი.

რეპეტიცია დანიშნულია 19 მარტს, ქალაქის თეატრში, საღ. 4 საათზე. ბილეთები გაიყიდება 19 მარტიდან თეატრის კასაში.

დაიბეჭდა და გასაყიდად დაურიგდა **თ. მთავრიშვილის** და ამხ. მიერ გამოცემული ს. გ. გორგაძის თხზულება

ქართული მართლწერა

ფასი 40 კაპ. წიგნი იყიდება ქუთაისში—გამომცემელის წიგნის მაღაზიაში, თბილისში, ქართველთ შორის წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიასა და ს. მერკვილაძესთან, ხონში მინა პაპუნიძესთან.

81 10—6

ბებია მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ, ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი თ.

2

ექიმი ი. ჩარეძოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 — საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლვოვოსის ქუჩა, ალიხნოვის სახლში. თ.

1

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიკარაძის № 46, ტელეფონი № 87. თ.

14

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მეჭეჭებს, ნაოჭებს, ჩვეულებრივზე მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვეცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ 3

ვეთერინარი ა. მ ნეურონოვი ღებულობს მოსარჩენათ ავადმყოფ ცხოველებს დილის 9—10 საათამდი და საღამოს 3—6 საათ. მისამართი: გოსპიტლის ქუჩა, სახლი ალახვერდიევისა, სამხედრო გოსპიტლის პირდაპირ. თ.

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

დასავლეთის ასპარეზი.

გერმანელები იკსკიულის სიმაგრეს უშენდენ, შემდეგ ისინი იერიშზე გადავიდენ, მაგრამ შევაჩერეთ. პოღვოდიეს რაიონში მტერს უკან დავახევინეთ. სვენგოფის ჩრდილოეთით ჩვენ ჩამოვაგდეთ გერმანელების აეროპლანი, აპარატი ცოტათია დაზიანებული, მფრინავები ტყვეთ წამოვიყვანეთ დვინსკთან სროლაა. მდინარე დვინაზე ყინვა გადნა. სადგ. ტურმონთან ჩვენი ნაწილი მედგრათ ეკვეთა მტერს. მეშველესთან ვიძის სამხრეთით გერმანელები გარბოდენ ვიძის ფრონტზე ტბა ნაროჩთან არტილერიის ბრძოლა სწარმოებს. პოლესიის ჩრდილოეთით, მძაფრი ბრძოლა ხდება. კოკის ჩრდილო-აღმოსავლეთით გერმანელებმა მაღლობი დაიკავეს, მაგრამ ჩვენმა მზვერავებმა საჩქაროდ უკან დაიბრუნეს სტრიპასთან მტერთან შეტაკების დროს 71 ტყვე წამოვიყვანეთ და აგრეთვე ბევრი სასროლი იარაღი ვიგდეთ ხელში.

ზოგიერთ გამაგრებულ ადგილში წვრილი შეტაკებანი ხდებოდა. ნოვოსელკისა და დ. კრევეს ჩრდილოეთით ჩვენ მტრის ბანაკში აფეთქება მოვახდინეთ და ორი თხრილი დავუნგრიეთ. სად. ბარანოვიჩის სამხრეთით გერმანელები იერიშით წამოვიდენ, მაგრამ უკუ ვაგდეთ. სად. ზემპირეზე (მინსკის რკინის გზა მტე

მსოფლიო ომი.

(დღიური).

მდგომარეობა არ შეცვლილა.

კავკასიისა და ოსმალეთ—სპარსეთის ფრონტზე რუსეთის ჯარმა ზემო ჭოროხის ხეობაში რამდენიმეთ კიდევ წაიწია, ხოლო მუშის რაიონში წმინდა სურბაუპერიკის მონასტერთან შეტაკების შემდეგ მახშუბანკი დაიკავა.

რუსეთისა და ავსტრია—გერმანიის ასპარეზზე გერმანელების შეტევის ხაზი იზრდება. გუშინ ბარანოვიჩის სადგურის ჩრდილოეთით გერმანელების ჯარის ერთი რაზმი იერიშით წამოვიდა, მაგრამ რუსეთის ჯარის არტილერიამ ის—შეაჩერა. გერმანელებმა ბარანოვიჩ—მინსკის რკინის გზის სადგ. ზამირიეს ჰაეროპლანიდან ყუმბარები დაუშინეს. ეტყობა გერმანელები მინსკის მიმართულებით შეტევასაც ამზადებენ, რაც ყოველ შემთხვევისათვის მოსკოვისაკენ გალაშქებას მოასწავებს. რუსეთის სამი მთავარი ცენტრია ნიშანში ამოღებული: კიევი, მოსკოვი, პეტროგრადი, მხოლოდ ამ სამში. რომელ მიმართულებას აირჩევენ გერმანელები უმთავრეს დაკვრისათვის და გადამწყვეტ მომენტისათვის, ძნელი სათქმელია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისინი ბედს სამივე მიმართულებით ცდიან და სადაც მოპირდაპირეს სისუსტეს დაატყობენ, ცხადია, მთავარ დაკვრასაც იქ გადასწყვეტენ. გერმანელებმა სხვა რაიონებშიაც სცადეს იერიში, უმეტესათ კი საარტილერიო ცეცხლს ანთებდენ. რუსეთის ჯარის სასახელოთ ის უნდა ითქვას, რომ მოგერება და უკვე დაკავებული პოზიციების შენარჩუნება ჯერჯერობით ყველგან შესძლო. მდ დვინაზე და რიგის ყურეში ყინული უკვე გალხვა და მდინარეში ყინული „დაიძრა“. ეს გარემოება გერმანელების შეტევას, როგორც წინადაც ვსწერდით, კიდევ უფრო გააძლიერებს. როგორც სჩანს წყალდიდობა გერმანელებს ოდნავაც ვერ უშლის ხელს. მათი დაბრკოლება მხოლოდ ერთათ ერთია: ეს არის ვერდენთან გაჭიანურებული იერიშები და იქ დაბანდებული დიდი ძალები, რის გამოყენებაც მათ ამ მომენტში რუსეთის ფრონტზე სურდათ.

საფრანგეთ—ბელგიისა და გერმანიის ფრონტზე ჩვეულებრივი საარტილერიო დუელი გრძელდება. ვერდენთანაც კი არავითარი ცვლილება არ მომხდარა. გერმანელები ავაკურ-მალენკურის პოზიციებს უშენდენ ყუმბარებს, მაგრამ ეს სიმაგრეები ჯერჯერობით ისევ იფარავენ ფრანგებს. ვევრის რაიონშიაც განსაკუთრებით დუომონის ამხრეთით გაცხარებულ სროლას აწარმოებდენ, მაგრამ აქაც უშედეგოთ.

სხვა ფრონტზე, გარდა იტალია—ავსტრიისა და ზღვაზე ჯერ ისევ სიწყნარეა.

რი აეროპლანებიდან ყუმბარებს ყრიდა. დოლკთან გერმანელებმა გაიმეორეს შემოტევა ჩვენს მაღლობ სიმაგრეებზე, მაგრამ დიდის ზარალით უკუვაგდეთ ზემო და ქვემო სტრიპას რაიონში გავფანტეთ მტრის რამდენიმე რაზმი. ხსენებულ ბრძოლებიდან წამოვიყვანეთ ტყვეები

შავ ზღვაზე.

დაიღუპა საჰოსპიტლო გემი „პორტუგალია“.

კავკასიის ასპარეზი.

მუშის რაიონში მონასტირ სურბურეპიკთან ჩვენმა ჯარებმა კანბუბანკიდან მტერი გამოდევნა და ეს პუნქტი დაიპყრო.

ჭოროხის რაიონში წინსვლას განვაგრძობთ.

დანარჩენი დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ზავის ახალი პირობები

ამერიკის ერთი გაზეთის კორესპონდენტის ცნობით გერმანიამ ახლა ზავის ახალი პირობები შეიმუშავა თურმე, ამას წინათ ევროპიდან დაბრუნებულმა პოლკოვნიკმა გაუსმა ამერიკის პრეზიდენტს შემდეგი ცნობა გადასცა: მოკავშირეები მისი სიტყვით ახლანდელ ძალთა განწყობილებაში მოლაპარაკებას უარყოფენ; მაშინ როდესაც გერმანია მზათაა ზავი შეკრას და ისიც სრულიათ ახალი განსაზღვრული პირობებით, ამ ვერსიით გერმანია თითქო თანახმაა, რომ ზავი უკონტრიბუციოთ ჩამოაგდეს, თანახმაა აგრეთვე, რომ ბელგიისა და ჩრდილო საფრანგეთის ტერიტორიიდან ჯარები გაიყვანოს, მხოლოდ ამის სამაგიეროთ ის მოითხოვს, რომ მას ყველა ახალშენები სრულიად დაუბრუნოს, ამასთან ინგლისმა ახალი ტერიტორია არსად არ უნდა შეიმატოს; პოლონეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოთ უნდა გამოცხადდეს. გერმანია სპარსეთში რუსეთის უპირატესობას აღიარებს, მაგრამ სამაგიეროთ ბალკანეთში და ახლო აღმოსავლეთში ინგლისის გავლენა სრულიად უნდა მოისპოს სერბია, მთაშავეთი და ალბანეთი გერმანიის მოკავშირე სახელმწიფოთა შორის უნდა განაწილდეს.

ჰუმანისტების კონფერენცია.

ამას წინათ სტოკჰოლმში გაიმართა ზავის კონფერენცია ფორდის სახელზე და წესებულ კომიტეტის ინიციატივით. კონფერენციამ ნეიტრალურ ქვეყნების მთავრობებს და პარლამენტებს შემდეგი მოწოდებით მიმართა: „თითქმის ორი წელი გავიდა, რაც ევროპას საშინელი კატასტროფა დაატყდა თავს; რადგან ორივე მებრძოლი მხარის ძალ-ღონე თითქმის ერთნაირია, ამიტომ ყოვლად შეუძლებელია თქვას კაცმა, თუ როდის მოეღება ბოლო ერთი მეორის საწინააღმდეგო მტრულ მოქმედებას. ბევრი იმ აზრისაა, რომ ჩვენ მთელი ევროპის დაღუპვის წინა ვდგევართ. რას ფიქრობთ თქვენ: ნუ თუ ახლა მაინც არაა დრო, რომ გარეშე ძალა მეომართა შუა ჩადგეს და შეაჩეროს ისინი? სტოკჰოლმში ახლა სხდომა აქვს გამართული ბ. ანრი ფორდის მიერ მოწვეულ კონფერენციას, რომელშიაც შემდეგი ექვსი ქვეყნის დელეგატები მონაწილეობას იღებენ: დანიის, ჰოლანდიის, ნორვეგიის, შვეციის, შვეიცარიის და შეერთებული შტატებისა. ეს დელეგატები არჩეულია იმ პირებისგან, რომლებთაც ევროპაში მშვიდობიანობის დამყარება გულწრფელათა სურთ. ფორდის კონფერენცია იმ პრინციპებზე დგას, რაც ჰააგის მეორე კონფერენციამ შეიმუშავა ამიტომ სტოკჰოლმის არა ოფიციალურმა კონფერენციამ დაადგინა, რომ ყველა ნეიტრალურ ქვეყნებს მთავრობებს მიმართოს თხოვნით, რათა მათ ოფიციალური კონფერენცია მოიწვიონ, რათა ომს ბოლო მოეღოს და ევროპაში მშვიდობიანობა დამყარდეს.

ვერდენთან.

პარიზიდან „რეჩის“ კორესპონდენტი იტყობინება: ყველაფრიდან სჩანს, რომ გერმანელები ვერდენთან იერიშისათვის ისევ ემზადებიან. მზვერავებმა შენიშნეს, რომ ვერდენის ჩრდილო-დასავლეთით გერმანელებს ახალი ჯარებიც მოჰყავთ და სურსათ სამხედრო მასალასაც ბლომათ ეზიდებიან. ფრანგები თავის მხრით სწორეთ პოზიციების ამ ნაწილს სცემენ ზარბაზნებს.

ქრონიკა

რუსეთი.

სახალხო განათლების მინისტრის წინაალმდეგ.

სახალხო განათლების მინისტრს, ლიბერალ გრაფის იგნატიევის წინააღმდეგ მემარჯვენეები ამხედრდენ. როგორც „ბირჟევი ვედომოსტი“ გადმოგვცემს „რუსის ხალხის“ კავშირის მთავარი საბჭოს თავჯდომარეს, ბ. დუბროვინს მაღალ სფეროებისათვის წერილი წარუდგენია, რომლითაც იგი გრაფ იგნატიევის მოქმედებას აკრიტიკებს თურმე.

გრაფს იგი ბევრ რამეს აბრალებს და ბოლოს შიშს გამოსთქვამს, რომ მისი მოქმედება სახელმწიფოსთვის ვითომ დიდ საფრთხეს წარმოადგენს. დუბროვინს განსაკუთრებით არ მოსწონს გრაფის ლმობიერი მოპყრობა „ინოროდცების“ მიმართ, ძალიან გაჯავრებულია აგრეთვე იმით, რომ იგნატიევი თითქო „უსამართლოთ“ ეპყრობოდეს მემარჯვენეებს გრაფ იგნატიევის წინააღმდეგ ბრძოლას მემარჯვენეების ფრაქციის ლიდერიც, მარკოვი 2-ეც ქადაგებს. მან „ლევაშოველების“ თათბირზე განაცხადა, რომ განსაკუთრებით ახლა არის საჭირო გრაფ იგნატიევის წინააღმდეგ ამხედრება, რადგან ის სახელ. სათათბიროს წევრთა უმრავლესობას თანაგრძნობასა და პატივისცემას იხვეჭსო.

აგრონომი ქალები.

პეტროგრადის ქალთა აგრონომიულ კურსებზე სწავლა სულ 9 ქალმა დაასრულა, რომლებიც „ქალ აგრონომათ“ არიან სახელწოდებულნი.

ცენზურის სისასტიკე

ბეჭდვითი საქმეთა პეტროგრადის კომიტეტის განკარგულებით გერმანიის ცნობილი რევიზიონისტის, დავიდის ბროშიურა—„სოციალიზმი და კოოპერატიული მოძრაობა“ აკრძალეს. ბროშიურა გამოცემულია 1907 წელს.

უხვი შეწირულება მუშების სასარგებლოდ.

პეტროგრადის რეზინის მანუფაქტურის, ჩვენშიაც ცნობილ სააქციონერო ამხანაგობის „ტრეუგოლნიკის“ გამგეობამ 200,000 მან. შეიტანა უმაღლესს საბჭოში, რომელიც ომში გაწვეულ ჯარის კაცთა ქვრივ ობლებს მზრუნველობს. ამ თანხის პროცენტები ომის დასრულების შემდეგ პირველათ წელიწადში უნდა მოხმარდეს, როგორც ომში დაზიანებულ „ტრეუგოლნიკის“ მუშებსა და მოსამსახურეებს, ისე მათ ოჯახებს. ამ ვადის გასვლის შემდეგ პროცენტების ნახევარი უნდა გადაეცეს იმ დაწესებულებას, რომელიც პეტრგრადში ნარვის რაიონის მუშების ყოფა ცხოვრების გაუმჯობესობაზე იზრუნვებს; ხოლო 15 წლის გასვლის შემდეგ ამავე დაწესებულებას უნდა გადაეცეს მთელი თანხის ყველა პროცენტები.

უცხოეთი.

რეიხსტაგის ს. დ. ფრაქცია

კოპენჰაგენიდან იუწყებიან, რომ ამ დღეებში გერმანიის რეიჰსტაგის ს. დ. ფრაქცია ორათ გაითიშა. უმრავლესობა, რომელიც 90 წევრ[illegible] წინანდელ პოზიციაზე დარჩა და რე ტაგში ერთი უძლიერესი ორ[illegible] უმცირესობა სულ 18 წევრისგან [illegible] რომელმაც თავი რეიხსტაგის ცალკე ფრ ციათ გამოაცხადა.

ახალი გერმანული გაზეთი.

ამ რამდენიმე ხნის წინათ გროდნო ახალ გერმანული გაზეთის გამოცემა დ წყეს.

ვილნოში

გერმანიის მთავრობამ ქ. ვილნოს ტორიული ძეგლების მოვლა—თვალ რის დევნება ხელოვნებათა მიუნხენის ტორიკოსს დააკისრა.

კიდევ ქართული ენის შესახებ.

სახალხო ფურცლის 525 ნუმერში თავსებულია საყურადღებო წერილი მოწაფისა ქართული ენის შესახებ» მელშიაც აღნიშნულია ქართული უნუგეშო მდგომარეობა სახაზინო სას ლებლებში.

ამ წერილმა გაგვახსენა, რომ ეს კით რომელიც დაისვა წარსულ წლებში ქა თულ გაზეთების ფურცლებზე („თემი“ „სამშობლო“), სამწუხაროდ ჯერ კი კითხვად რჩება, ჯერ კიდევ არ გადადგმ ლა შესაფერი ნაბიჯი ქართული ენის ნ მალურ კალაპოტში ჩასაყენებლად, ამ უფლების მოსაპოებლად. ისევ ძველებუ აბუჩად აგდება ამ უდანაშაულო ენ სასწავლებლის ბატონ-პატრონებისა, ქა თველი მშობლებისა და მოწაფეების მხრი ისევ კუდშეკვეცილი პროგრამა, ისევ ბ ლებური მოწყენილობა-მთქნარება ქართუ ლი ენის გაკვეთილებზე.

ქართული ენის სამწუხარო და სამა ცხვინო მდგომარეობას დიდიხანია, რ შერიგებია ქართველი საზოგადოების შ ნებული ნაწილი. ამ უკანასკნელმა ან ა იცის ამ ენის არა სასურველ მდგომარე ბის მავნებლობა ჩვენი მოზარდ თაობი თვის, არ ჩაკვირებია არ გაუცვნია ამ მო ლენის გადამაგვარებელი შედეგები, ან იცის, რომ ამ ენას გიმნაზიის საგნებს შ რის უჭირავს უკანასკნელი ადგილი, იც ამ ენის შეუფერებელი მდგომარეობა, მა რამ მაინც სდუმს, არ მაცადინობს ამ ენ სასურველ კალაპოტში ჩაყენების შესახ პირველ შემთხვევაში სიბრალულის ღი სია იგი, მეორე შემთხვევაში კი შესაფ სახელისა!

სად არის პატრონი? ვინ იღებს ხმ ვინ უწევს ანგარიშს ქართული ენის უნ გეშო მდგომარეობას საშუალო სასწავლ ბელში?

ბატონებო, ჩვენ სასწავლებლის გარე ვიმყოფებით და არ ვიცით თუ რა სამა

სამი ჟურნალი.

1) „**სხივი**“—გაზეთ „შრომის“ თანამშრომელთა გამოცემა.

(**შემდეგი იხ. „სამშობლო“ № 314.**)

VI.

თანამედროვე კრიტიკამ ბევრნაირი მოთხოვნილება წარუდგინა სიტყვა კაზმულ მწერლებსა და მწერლობას.

ზოგსა სწამს „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ ზოგი ნაწარმოებში ეძებს მარტო აზრს და იდეას, ზოგი—ნატურალიზმს, ზოგი—რომანტიზმს, ზოგი—რეალიზმს, ზოგი—სიმბოლიზმს და სხვადასხვა.

ყოველ შემთხვევაში ერთი რამ კი უდავო და სასურველია: სიტყვა კაზმული ნაწარმოები უნდა იყოს: ღრმა და სპეტაკი აზრით, სრული და მშვენიერი ფორმით, გამოთქმით, გამოქანდაკებით.

მაგრამ ასეთი ნაწარმოები ყველა ლიტერატურასა და ყველა ქვეყნებში სანთლით საძებარია, მით უმეტეს ასეთი ნაწარმოებნი ძალიან ცოტა გვაქვს და ჯერ კიდევ გვიან გვექნება ჩვენ, მეცხრამეტე საუკუნის ქართველებს.

ყოვლად შემკულ ნაწარმოების შექმნას სჭირია რთული ცხოვრება, დიდი ცოდნა, ზედმიწევნით შესწავლა თანამედროვე მეცნიერებისა, თანამედროვე ძალთა განწყობილებისა; ასეთ ნაწარმოების შექმნას სჭირია შესწავლა ყველა დროისა და ყველა ხალხის მწერლობისა ჩვენამდე; დიდ გემს დიდი ზღვაც უნდაო სანავარდოთ, ამბობენ ხოლმე რუსები. დიდსა და ძლიერ ნაწარმოებს შექმნის მხოლოდ თავისუფალი ხელოვანი, დიდი და ძლიერი ნიჭი, როგორი ნიჭიც ისეთ ხალხში, რომელიც მოწყვეტილია მშობლიურ ნიადაგს ან სულ არ იბადება და თუ გაჩნდება ხოლმე, ისიც მხოლოდ საუკუნოებით!

ამიტომ ყოველივე თანამედროვე ქართული ნაწარმოები უნდა შეფასდეს იმ საზომითა და იმ მიზანშეწონილობით, რომელი საზომი და მიზანშეწონილობაც შეეფერება ჩვენ სულიერსა თუ მატერიალურ მდგომარეობას.

ქართველი მწერლის ნაწარმოები ბევრით რომ ჩამოუვარდებოდეს ევროპისა, თუ რუსეთის თანამედროვე ცნობილ მწერლების ნაწარმოებთ, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ქართველი მწერლის შედარებით სუსტ ნაწარმოებს მაინც დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდეს ჩვენის მკითხველისათვის.

ან რა შესადარებელნი არიან ჩვენი მწერლები უცხოეთის მწერლებთან, ისე როგორც არ არის შესადარებელი დღევანდელი მდგომარეობა საქართველოსა სხვა ცნობილ დიდ ერების მდგომარეობასთან.

ამიტომ, ჩემის აზრით, ძლიერ სცდებიან ხოლმე ჩვენი კრიტიკოსები, როცა ქართველ მწერლებსა და მათ ნაწარმოებს ევროპიულ თვალ-საზრისითა და ევროპიულ მოთხოვნილებისამებრ აფასებენ და შედარებითი მეთოდით ხელმძღვანელობენ.

ამისთანა მათმა მოქმედებამ გზა კვალი აურია ჩვენ ახალგაზდა მწერლებს, (ნამეტნავად მგოსნებს) და დღეს ყველა „ბოდლერითა და უალდითა“ ბოდავს!...

სხვათა შორის, მიმბაძველობამ ძლიერ მოიკიდა ჩვენში ფეხი და ეს რამდენიმე ხანია ნამდვილი ქართული მოთხოვნილების მოთხრობა და ლექსი აღარ დაწერილა.

ეს კი ძლიერ ხელს უშლის ჩვენი მწერლობის ბუნებრივ განვითარებას, მის ძალის გამოჩენას და მის გახალხოსნებას.

მე მგონია გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ დღევანდელ ლექსთა უმრავლესობისას ხალხი ვერას გაიგებს და ქართული ლექსი კი არა, რაღაც ჩიქორთული ეგონება.

სადღაა აკაკისებური ფაქიზი და წმინდა ლექსი? სადღაა ცხელისებური ბალადები, შიო მღვიმელისებური მარტივი, მაგრამ მარგალიტივით დაკრილილი ლექსთ-წყობა?

თქვენ მეტყვით: ახლებმა გაასწრეს ძველებსაო.

თქვენი ნებაა! მაგრამ, თუ დღევანდელ ლექსთა უმრავლესობის აზრის გაგებასა და ამ ლექსების ზეპირად დასწავლას რომელიმე უბრალო მომაკვდავი მოახერხებს, მე სანაძლეოს დავსდებ!...

ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები კი მაშინ არის ხელოვნური და სასიამოვნო, როცა იგი გვატკბობს და გვხიბლავს, როგორც მარტივისა და კოხტა ფორმით, ისე ადამიანურის განცდით...

სიტყვათა რახარუხი, აზრთა ჭრელობა და რითმათა კაჭკაჭოსნობა, ჩემის აზრით, სრულიადაც არ ნიშნავს არც წინ მსვლელობას, და არც ლიტერატურულ ღირებულობას.

ამ ბოლო დროს კი, სამწუხაროდ, ძალიან გავრცელდა ასეთი ლექსები.

რაც შეეხება მოთხრობებს—ამ მხრივ ხომ ქართული მწერლობა დიდ კრიზისს განიცდის

ესკიზები, ნოველები, ამბები! დიდი და თვალსაჩინო მოთხრობა—რომანი, კარგა ხანია აღარ დაწერილა ქართულ ენაზე...

გარდამავალი ხანის ბრალია, თუ ისევ მიმბაძველობისა ამ [illegible] ამის გამოკვლევას ვერ გამოვეკიდები, მაგრამ ეს მოვლენა კი დიდად დამაფიქრებელია

აი, ავიღოთ თუნდა ჟურნალი „სხივი“! ვერც ერთ დიდ მოთხრობას ვერ ნახავთ შიგ. ჟურნალის დანიშნულება კი ის არის რომ დიდი და დამთავრებული თხზულება—წერილები მიაწოდოს თავის მკითხველებს.

ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ გამომცემლებმა ყოველი ღონე იღონეს მოეპოვებინათ დიდი და საყურადღებო ნაწარმოებნი, მაგრამ ნათქვამია; ააფრინეს ალალიო, რაც არ არის არ არისო!..

„სხივში“ მოთავსებულია: ორი ნოველა მიხ. ბოჭორიშვილისა, ერთი ამბავი გ. მუმლაძისა, სამი პატარა ნოველა მიწიშვილისა, ერთი მოთხრობა ია ეკალაძისა, რამდენიმე ლექსი რუხაძისა და გ. ტაბიძისა, ლიტერატურული შენიშვნები ა. შენგელაიასი, სიმბოლიზმი—გიგოსი და რამდენიმე ლიტერატურული ნაწყვეტი, უდროოდ გარდაცვალებულის, თავის ამხანაგებში კარგად ცნობილის გიგა ჯუღელისა

აი სულ ეს არის მასალა „სხივისა“, მაგრამ მაინც იმდენად საყურადღებო აზრებს გვიკარნახებს აქ დასტამბული თხზულება-წერილები, რომ უსამართლობაა კაცმა (და მით უმეტეს რედაქციებმა) არ შეიძინოს და არ გადაათვალიეროს ეს ჟურნალი.

პირველი ადგილი ჟურნალში დათმობილი აქვს ბ-ნ მიხა ბოჭორიშვილის ნოველებს: „კოლხეთის ცის ქვეშ“ და „მწუხრიშვილის დღიურიდან.

ორივე ნოველას აშკარად ეტყობა, რომ მათი ავტორი არ არის მოკლებული ღვთიურ ნაპერწკალს. მას აუცილებლად აქვს მწერლისათვის საჭირო ტემპერამენტი, დაკვირვება და განცდათა აწონ-დაწონა აკლია მხოლოდ ტეხნიკა, გამოკვეთ გამოჭრა მთლიან ნაკვეთებისა მაგრა ეს გამოუცდელობის ბრალი უნდა იყოს ვინაიდგან რამდენადაც ვიცით ბ-ნი მიხ ბოჭორიშვილი ახლად გამოდის სამწე ლო ასპარეზზე.

პირველ ნოველით („კოლხეთის ც ქვეშ“) ავტორს თქვენ ოცნებით გად ყავხართ საქართველოსათვის იმ ნეტ დროს, როცა მეფობდა დიდი. თამარი, საზღაპრო არსება, როგორც თავისის სიათით, ისე თავისის სიმშვენიერით, რო მელმა სიმშვენიერემაც მოხიბლა შოთ რუსთველიც და, როგორც გადმოგვცე მენ, დააწერინა მისი „ვეფხის ტყაოსანი“.

ჩვენ გვინდა ცოტა ვრცლად შევჩერ დეთ ბ ნ ბოჭორიშვილის მოთხრობებზე.

იგი ახალი კაცია ჩვენ მწერლობაში და, გვგონია, სასარგებლოც იქნება იგი თუ ამ თავითვე ჩავარდა კალაპოტში და შესაფერი ჰანგი აილო.

(შემდეგი იქნება)

ქ-ნ კატო მიქელაძის ლექციის გამო.*)

ჩვენ დიდის სიამოვნებით ვეგებებ ქართველ ლექტორ-ქალს, ქართველი დე დის ღირსებისა და უფლების დამცველ როლში.

დღევანდელს ჩვენს უუფლებო ხანაში სადაც არა მარტო დედაკაცის უფლება შებღალულია, მეტად სასიამოვნოდ მიგვაჩნია, ქართველი ქალის ასე საჯარო გ

---

*) წაიკითხონ ეს წერილი მათის თანა მოაზ რისა და დარწმუნდენ, ჩვენი ფედერალისტ თუ რამდენად უსამართლონი ვართ ჩვენ მათ შ სახებ. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...უღმართობაში ჩვენი საუკეთესო ...მშობლიო ენა... მხოლოდ ხანგა-... ამ ენის უნუგეშო მდგომარე-... რგნობა მოწამლული, ჩვენი ერის ... გულშემატკივარი თუ ამოიღებს ... ხმას... მაგარი ის არის, რომ ეს ... ლა სასირცხვით, რჩება ხმად მღა-... ის უდაბნოსა შინა.

... გიმნაზიებში ყველგან არსებობს ... დებული „მშობელთა წრეები“. ... რას სდუმან ეს უკანასკნელები? ... ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ, რომ ... ნდა მოვალეობაა, სხვათა შორის, ... ან ქართული ენის ნორმალურ კა-... ზე ჩაყენების შესახებ, ამ ენის გაშტა-... შესახებ. აქეთკენ იწვევს ამ წრე-... ამაინური მოვალეობა!

... მშობელთა წრეების დანიშნულებაა ... მოსწავლე შვილების ინტერესების ... გამოესარჩლონ „მოწაფის ხმას“ და ... ან საქმეზე გადავიდნენ.

... გვონი, რომ სრულიად სამართლი-... მასთანავე არავითარი ზიანის მომ-... ყენებისთვის ან რამესთვის მოთხოვნა ... ენის გაშტატების შესახებ სამ... ებლებში არ შეიწყნარონ და არ ... ლიონ, თუ რასაკვირველია, ... თა წრეები მოინდომებენ, გაირკვე-... მიმართვენ, სადაც ჯერ არს...*)

გორგი.

... ჩვენ სასუბათ ვიზიარებთ ბ-ნ გორგის ... ეულებს, მაგრამ ამასთანავე არ შეგვიძ-... ღინიშნოთ, რომ ჩვენ, ვგულის, დაბა-... წრე უფრო გვეხერხება, ვიდრე საქმის ... ბა.

... ერთხელ ვსთხოვეთ და ახლაც წინა-... ს ვძლევთ ყველა სასწავლებლების ... ეთ ენის მასწავლებლებს ამ ზაფხულს ... იონ ყრილობა თბილისში, ან ქუთაისში, ... ან სადმე, საჭირო და რამდენადაც ... ება უნაკლული პროგრამა, ამოარჩიონ ... სახელმძღვანელოები, რაც არ მოგვეწონება შე-... ს, გამოიტანონ გადაწყვეტილი და დასაბუ-... ი რეზოლუციები,

... დანიშნონ განსაკუთრებული ინსპექტო-... რამდენიმე რევიზიას გაუკეთებენ ხოლმე ... ლი ენის მასწავლებლებს, შესძრან ვეე-... ნბი და უჩინონ, რომ ადგენილ იქ-... რთული ენის ღირსება და უფლება სას-... ბლებში, თუ საქმე გასჭირდა. შეიდე-... ნ მივაბარებთ ისეთ სკოლებში, სა... ქართული ენა მასხარად არის ... ული, შევიძულოთ ფორმალიზმი, დავ... გულგრილობა და თითოეულ ქარ-... მოვსთხოვოთ ღირსეულად მოეპყრას ... ლო ენას, შინ თუ გარედ, კლასში თუ ... ზე, სადარბაზოში თუ ქუჩაზე. აი ეს იქნება ... თირმ, რაც უნდა ბევრი ვსწეროთ და ... თით არა გამოვა რა!

... ლი თავისი დაკნინებული მდგომა-... ის და ღირსების ასამაღლებლად. ეს ... ბით დააგვირგვინა ქ-მა მიქელაძემ ... საყურადღებო ლექციაში, შაბათს, ... რისაც მას უეჭველად ეკუთვნის გან-... რებული მადლობა ქართველი ქალე-... ბან.

... ტი გამრავლება ამგვარ მებრძოლ პი-... ბა, მეტი აქტივობა, მეტი გაბედული ... ება ყოველგვარი უტიფრობისა და ... ველი ქალიც ისეთი ადვილი ხელ-... საგდები აღარ იქნება, როგორც ეს ... ზოგიერთ ვაჟბატონს ჰგონია.

... ლექცია იყო, ან უკედ რომ ... ვით გარდაიქცა, ცოცხალ პროტესტად ... ში დღეს მოვლენილ ფუტურისტულ ... ურებისა, და რაც უფრო საყურად-... ო და მასთან ერთად სამწუხაროც, ... ეუთრებით იმათ მიმართ, ვინც ამ ... ეშვებულ უზნეობის მქადაგებლებს, ... მოციქულებად და სიტყვის რაინდე-... სახავენ.

... რული ჭეშმარიტებაა, რომ „ცისფერი ... ები“ თავისი ცისფერი ცინიზმით თა-... თავად არავითარი ყურადღების ღირსი ... იქნებოდა, და საზოგადოება მათს მზე-... გამოვენას ჩემის, ბოიკოტისებურის ... ით შეხვდებოდა, რომ ამ ვაჟბატო-... ავტორიტეტული დამცველ-წამქეზე-... ნი არ აღმოჩენოდათ. ეს კი სულ ... მოვლენაა, უფრო სამწუხარო და ... ელ მეტყველი.

..., როგორც ერთი მიმდევართაგანი ... ლ ჯორჯაძის სპეტაკი მოღვაწეობისა, ... მის უმწიკვლო ბუნების პატივისცე-... თავანს, მრცხვენია დღეს, როდესაც ... ლის საკვდილის სამის წლის თავზე, ... მიმდევართ ასეთ ბრალდებას უყენებენ ... როდ, როგორც ეს ქ-მა მიქელაძისამ დააყენა. დიახ, მრცხვენიან, მაგრამ სამწუხაროდ იგი უბრალო ბრალდება ან უსამართლო ცილისწამება როდია, არამედ სრული ჭეშმარიტება არის.

მე თვით ვხედავდი, თუ როგორ მორცხვად და მკრთალად გამოიყურებოდნენ თეატრის დარბაზის კუთხეებიდან გაზეთ „მეგობრის“ ხელმძღვანელი თანამშრომელნი, როდესაც ლექტორი შეეხო ამ გაზეთის პოზიციას „ცისფერი ყანწებისა“ და მათ ხელმძღვანელთა დაფასებაში.

შეიძლება ადამიანი შესცდეს, მოსტყუვდეს პირველად, სანამ სხვისი პიროვნება თქვენს წინ მთლად გადაშლილი არ არის—ეს საპატიებელია,—მაგრამ, როდესაც თქვენ ნათლად ხედავთ თუ ვისთან გაქვთ საქმე, მაშინ, გვგონია, თქვენი ზნეობა, რწმენა და სიფაქიზე ყოველგვარ სიმპატიებზე მაღლა უნდა დააყენოთ და ხმა აღიმაღლოთ მათ დასაცველად, ხოლო ვინც ამას ასე არ ჩაიდენს, ის თვითონ მოკლებულია ამ თვისებებს.

ასე მოვსტყუვდით ჩვენ გ. რობაქიძის პიროვნების შეფასებაში პირველად, როდესაც იგი მოგვევლინა ჩვეულებრივის ტანთსაცმელით მაგრამ არაჩვეული პაფოსით და „სიტყვათა ბგერით“, ჩვენ ის გავალმერთეთ და თავს დავადგით გვირგვინი ჩვენის პატივისცემისა, მაგრამ დღეს, როდესაც მან უკვე განიძარცვა თვისი ტანთსაცმელი და თავისი „ტიტველი“ აზრებით გვევლინება, ჩვენი მოვალეობაა ჩვენივე ხელით დავაქციოთ უაზროდ შექმნილი ენტუზიაზმი მისი ხოტბისა.

ასევე ითქმის გრიშაშვილზედაც. ეს ნიჭიერი რითმების მქსოველი ახალგაზრდაც ჩვენმა ცალმხრივმა კრიტიკამ გაათამამა, თორემ ვინ ვერ ატყობდა, რომ მთელი მისი პოეტური შემოქმედება მხოლოდ კოცნით იწყებოდა და კოცნითვე თავდებოდა.

დღეს ამ სიმახინჯემ თავისი მიმდევრებიც გაიჩინა და აშკარად წამოჰყვეს თავი ჩვენი დასნეულებული ცხოვრების მთელად მოსაწამლად. მერე როგორ შეხვდით ამ მოვლენას? სასირცხოდ!!

ცნობილი კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, და არჩილ ჯორჯაძის ანდერძის მესაიდუმლე, ამ გატიტვლებულ ორგიის მქადაგებლებს ტაშს უკრავს, მხრებს ასხამს და აქეზებს ორგანოს, რომელსაც დასახული აქვს ქვეყნის ხსნა ასეთ ქვეყნის დამცველ ფრთებს აფარებს თავის გამართლება იმითი, რომ ეს მოვლენა, ე. ი. სიმბოლიზმი, ან ფუტურიზმი დრომ მოიტანაო, მეტად ულოღიკო თავის მართლებაა. დრომ შეიძლება ბევრი რამ სისაძაგლე მოიტანა და მოიტანოს კიდევ, მაგრამ თუ აცხადებთ თქვენს თავს მებრძოლად და ქვეყნის მხსნელად, კიდეც უნდა შეებრძოლოთ ამგვარ ბოროტებას შემოტანილი იქნება იგი გარედამ, თუ ჩვენს შორისვე აღმოცენდება, რომ მან დამკვიდრება და ფეხის მომაგრება ვერ შესძლოს.

არა ბატონებო! ასეთი მოღვაწეობისა თვის ქართველი ხალხი, მისი გულწრფელი მოსიყვარულე არჩილ ჯორჯაძის სული მადლობას ვერ გეტყვისთ.

თქვენ საჯაროდ უნდა დაჰგმოთ ახლად მოვლენილი სიავგლახე ჩვენის ცხოვრებისა, გასწყვიტოთ კავშირი ძველ შეცდომებთან და მხოლოდ სპეტაკის სახით მოევლინოთ საზოგადოებას, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ დაიმსახურებთ აუცილებელ გულის წყრომას არა მარტო მოპირდაპირეებისა არამედ იმ იდეის მიმდევრებთაგანაც, რომელსაც თქვენ სიტყვით აღიარებთ საქმით კი ვერ ასრულებთ!..

ჯაფარ—ფაშა.

ქართული პრესა.

სიამოვნებით ვეგებებით და ყოველის მხრივ ხელს შევუწყობთ ჩვენი თანამოაზრე „საქართველოს“ წმინდა სურვილების განხორციელებას

დიახ, დრო არის, რომ დავიწყოთ ეკონომიური საქმიანობა და „საქართველოსთან“ ერთად გავიმეოროთ:

ჩვენი ერი მეტად სახიფათო და ჩამაფიქრებელ ეკონომიურ მდგომარეობას განიცდის. მწარმოებელ ძალთა სისუსტე და დაქსაქსულობა, მეურნეობის, ვაჭრობის თუ მრეწველობის მოუწყობლობა—აი ჩვენის ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობა. ამაზე იქნებ წერაც კი აღარ იყოს საჭირო. ეს მოვლენა თავის თავად აშკარა და ნათელია. და თუ ჩვენში კიდევ მოიპოვებიან ისეთები, რომელნიც ჩვენი ცხოვრების ამ სინამდვილეს თვალს არიდებენ, ოცნებით და სიტყვებით გაბედნიერებას გვპირდებიან, — რა გაეწყობა. ჩვენ ამას უნდა შევურიგდეთ. თუ ჩვენი ერის მწარე სინამდვილე მათ თვალს ვერ უხედს, ჩვენი სიტყვიერი მტკიცება ვერას გახდება, -შემცდარ აზროვნებას მათ ვერ გაუსწორებს. ჩვენც უნდა დავიწყოთ თვითონ პირველ საფეხურს. მდგომარეობის შეგნებას, გამორკვევას და შემდეგი ნაბიჯი უნდა გადავდგათ, საქმიანი ნაბიჯი. საქმე ულიდესი საბუთია. ვიზედაც სიტყვა არ მოქმედობს, მასზე საქმე მოახდენს გავლენას. უნდა შევქმნათ შეგნებული ეკონომიური საქმიანობა და შემდეგ ამისა თვით საქმე შემოიკრებს მეტს და მეტს ეროვნულ ძალებს.

. . . .

ამ შეერთებული ძალით ჩვენი ქვეყნის ქონებრივი მდგომარეობა უნდა შევისწავლოთ, ერის ეკონომიური საჭიროებანი უნდა შევიგნოთ, რომ ამის შემდეგ გაერთიანებულის ძალით და გარკვეულის გეგმით შევუდგეთ მუშაობას, რომელიც ჩვენ დღევანდელ ეროვნულ უძლურებიდან გამოგვიყვანს და სასურველ მომავალს განგვიმზადებს.

. . . .

ეს საშინელი ომიც დასრულდება. ერთა შორის ეკონომიური დამოკიდებულება განახლდება. ჩვენს ქვეყანასაც უცხო ტომის სიმდიდრის მაძიებელნი შემოესევიან და ჩვენც მზად უნდა ვიყვნეთ. ქართველ ერს ბევრი დაუკარგავს და რაც მას დღემდე შერჩა, იმას მაინც უნდა მოვუაროთ.

ვინც ქართულ ოჯახებს იცნობს (ნამეტნავად მაღალი წრისას), ვისაც უსწავლებია ქართული ენა ჩვენებურ სასწავლებელში, ვინც დაჰკვირვებია სხვა და სხვა კლასის მოწაფეებს და მათ მიპყრობას ქართული გაკვეთილებისადმი ის დაგვეთანხმება, რომ მარტო ქართული ენის მასწავლებელი არ არის დამნაშავე. შედახეთ, მაგალითად მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე ან მერვე კლასში. ქართულ ენის შედარებით მცოდნე მოწაფის გვერდით ზის მეორე მოწაფე, რომელმაც ანა-ბანა არ იცის, რადგანაც ან „მამაში“ ჰყავს გადაგვარებული, ან „პაპაში“ (სამწუხაროდ ასეთები ძლიერ ბევრია). რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა ასეთ კლასში? გამოდენოს კლასიდან ასეთი მოწაფენი? რა უფლებით!

არა, ბატონებო, მიზეზები ქართული ენის შებღალვისა უფრო ღრმაა, ვიდრე მისი „არა შტატობა“ და ეს მიზეზები უნდა ვეძებოთ ჩვენს ოჯახსა და საზოგადოებაშიც.

აი ამ მიზეზების აღნუსხვას უნდა შეუდგეს ქართული ენის მასწავლებელთა ყრილობა და მათ მოსასპობად ყოველი ღონე იღონოს..

რჲდ.

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ასინა ბესარიონის ასული დემეტრაძისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ შვილები: ნესტორი, გიორგი, მინადორა ქუთათელაძისა, პარასკევა იზუმსკისა, კალისტინე აბელედიანისა და მარიამ წერეთლისა. რძლები: ელისაბედ და ოლიმპიადა დემეტრაძისანი, შვილიშვილები ნიკოლოზ, დავით, და გიორგი ქუთათელაძეები, ადრიან და ნადეჟდა იზუმსკისანი, სიძეები ალექსანდრე იზუმსკი, სამსონ აბელედიანი და სიმონ წერეთელი.

გამოსვენება დანიშნულია 22 მარტს, სოფ. სადემეტრაოში, ნაშუადღევის 3 საათზე.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

კატო მიქელაძის ლექცია.

შაბათს, 19 მარტს, გამართულ კატო მიქელაძის ლექციას აუარებელი ხალხი დაესწრო. ლექცია საერთოდ შინაარსიანი გამოდგა. საზოგადოების ყურადღება მიიქცია ლექციის იმ ადგილმა, სადაც ლექტორი შეეხო „ჩვენს ფუტურისტებს“.

ლექციის დასასრულ ახალგაზრდა მგოსნებმა ლადო მაჭავარიანმა და სიმ წველმა წაიკითხეს თავისი ლექსები სტუდენტმა ილ. ცლენტმა წაიკითხა „მეორე თქმა“ „ფუტურისტების“ შესახებ და ია ეკალაძის მიერ გადმოკეთებული რუსული ფუტურისტული ლექსი „სიცილი“ და „საოხუნჯო რეცეპტი“ რამაც მეტად აცინა საზოგადოება.

როგორც ზემოთ ვსთქვით, ლექცია შინაარსიანი იყო; როგორც ეტყობა ავტორს ცდა არ დაუკლია.

ლექციამ საზოგადოთ კარგათ ჩაიარა და ხალხი ნასიამოვნები დაიშალა.

◆ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „ნაკადულის“ თებერვლის № 3 მცირე წლოვანთათვის და № 11 მოზრდილთათვის ორივე ჟურნალი შინაარსიანად არის შედგენილი.

მივიღეთ აგრეთვე სასოფლო სამეურნეო ჟურნალი „სასოფლო გაზეთი“ № 6.

ჟურნალში სხვათა შორის მოთავსებულია: ა. ინწკირველის „კოოპერაცია ჩვენში“ ალ. იობიძე—ღვინის დაწმენდა მეაბრეშუმეთა საყურადღებოთ. და სხვა საყურადღებო ცნობები.

◆ კავკასიის მეფის ნაცვლის კანცელარია დეპეშით ატყობინებს ქუთაისის გუბერნატორს, აცნობოს გადახდილი აქვს თუ არა ქუთაისის ქალაქის თვითმართველობას დარჩენილი გადასახადი, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ მისცა სესხათ 1905 წ. ქალაქის საავადმყოფოს ასაგებათ და რომელიც შეტანილია ქალაქის 1915 წ. ხარჯთაღრიცხვაში.

◆ სასოფლო სამეურნეო აგრონომთა ინსპექტორი ვ ვ. კანდელაკი დაინიშნა ქუთაისის 5 რაიონის საერობო აგრონომათ, ხოლო მისი მოვალეობის აღმასრულებლათ—სარაიონო აგრონომი ბოგდანოვი.

◆ ჩვენს რედაქციაში იყვნენ რამდენიმე მეფურნე, რომელთაც განაცხადეს; რომ მათ საცხობ პურის ფქვილზე ცალზე მოუმატეს—50 კაპ. რადგან მეფურნეებს ეჭვი ებადებათ, რომ ეს მოვლენა გამოწვეულია კერძო გამყიდველთაგან, ამიტომ საჭიროა ქალაქის გამგეობამ სასურსათო კომისიას აცნობოს, რომ ეს მოვლენა მან ჯეროვანათ გამოიძიოს.

◆ კვირას, 20 მარტს, სათავად-აზნაურო კომიტეტთან არსებულ ქალთა წრის მიერ გახსნილი ალექსანდროვის ქუჩაზე ბოკერიას სახლში „საჩაიე კაფე ძმური დახმარება“ დიდის ამბით აკურთხეს. სიტყვა წარმოსთქვა გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლმა თ დმა დ. ო. ნიჟარაძემ. მთელი შემოსავლის წმინდა მოგება გადაიდება დამშეულთა და სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახების სასარგებლოთ. ხალხი ბევრი დაესწრო.

◆ შაბათს, 19 მარტს, ელექტრო თეატრ, „რადიუმში“ გ. ნიორაძემ წაიკითხა ლექცია ოსმალეთზე. ლექცია შინაარსიანი იყო. საზოგადოება ბევრი დაესწრო. ამ ლექციას ლექტორი გაიმეორებს ქალაქის თეატრში.

◆ ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი პოლკოვნიკი ვენცელი დაუნიშნავთ აზრუმში სამხედრო ტყვეთა მიმღებ სამმართველოს უფროსათ.

◆ მთავრობამ 400 მანეთი გადასდვა სენაკის მაზრის სამმართველოს 1915 წ. დამატებითი ხარჯების დასაფარავათ.

◆ სასურსათო სანოვაგის მომწყობი მთავარი რწმუნებული მაშკოვი დეპეშით ატყობინებს ქუთაისის გუბერნატორს, რომ საჩქაროთ გადასინჯონ ადგილობრივ სასურსათო კომისიაში აუცილებელ სანოვაგეთა ნიხრი, თანახმათ შინაგან საქმეთა სამინისტროს 12 თებერვლის ცირკულიარისა.

◆ ნიორაძე ამ მოკლე ხანში, საქველმოქმედო მიზნით, წაიკითხავს ლექციას „ფუტურიზმზე“.

◆ კვირას, 20 მარტს, ქართულ თეატრში რუსულმა დასმა გამართა ოპერა „ღამის სიყვარული“. საზოგადოება ბევრი დაესწრო. ოპერამ კარგათ ჩაიარა

◆ გამომცემელ ამხანაგობის „საქართველო“-ს განყოფილება კვირას, 20 მარტს, სადგილ მამულო ბანკის დარბაზში შესდგა გამომცემელ ამხანაგობის „საქართველო“-ს კრება კრების მიზანი იყო ქუთაისში ხსენებულ გამომცემელ ამხანაგობის განყოფილების დაარსება. კრებაზე 40 მდე კაცმა ხელი მოაწერა საგამომცემლო პაის, პაი ჯერ ჯერობით 6,000 მანეთამდე შეგროვდა.

◆ ამას წინათ ქალაქის გამგეობა შეეკითხა ფოთისას, თუ როგორ ფასობდა ადგილობრივათ ფუთი მარილი. ამის შესახებ გუშინ დეპეშით იტყობინებიან, რომ ფუთი მარილი 14 შაურად ღირსო.

◆ მიხაკო ივანეს ძე კვირიკაძე [illegible] გამოვაცხადოთ, რომ მას დაკარგვია კვირას, 20 მარტს შვილი ქუთაისის [illegible] ქალაქო სასწავლებლის 2 [illegible] სწავლე. ბავშვი ლამაზია, ტანზე რუხი ბლუზა აცვია, ფეხზე ჩექმები აცვია. მნახველთ სთხოვენ ბავშვი მიიყვანონ ძველი ხონის ქუჩაზე, მიხაკო კვირიკაძესთან. ბავშვი 11 წლისაა.

◆ სახაზინო პალატა წინადადებას აძლევს ქალაქის გამგეობას ვაჭრებიდან ამოირჩიონ ერთი კაცი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს გადასახადთა შეერთებულ კომისიაში- ამ კომისიაში ვაჭრებიდან სამი კაცი უკვე არჩეულია.

◆ ქალაქის ინჟინერი ბ-ნი ფრიკი ამ დღეებში თავის ოჯახურ საქმეების გამო მიემგზავრება ქ. პეტროგრადს, სადაც დაყოფს 18 აპრილამდი.

ქუთ. მომხ. საზ „კოოპერაციის“ კრება.

კვირას, 20 მარტს, ელექტრო თეატრ „რადიუმში“ მოხდა ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოების „კოოპერაციის“ საზოგადო წევრთა კრება. კრებას საზოგადოება საკმაოდ დაესწრო.

კრების თავჯდომარეთ ერთხმად არჩეული იქნა ნაფ. ვექ. გრ. გიორგაძე.

კრებას უნდა განეხილა შემდეგი საკითხები: 1) გამგეობის მოხსენება საზოგადოების მოქმედების შესახებ; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3) სავაჭრო პუნქტები, ანუ კითხვები განაპირა უბნებში; 4) 1916 წლის ხარჯთაღრიცხვა; 5) გამგეობის წევრთა რიცხვის განსაზღვრა და მათი არჩევნები; 6) არჩევნები სარევიზიო კომისიის ერთი წევრისა; 7) განხილვა სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილ ინსტრუქციებისა; 8) მომხმარებელ საზოგადოებათა ამიერ კავკასიის კავშირში; 9) ქუთაისში მეორე მომხმარებელ საზოგადოების დაარსება და მასთან ჩვენი დამოკიდებულება და 10) მიმდინარე საქმეები.

გამგეობის წევრმა ბ გიორ. ტუსკიამ კრებას მოახსენა მომხმარებელ საზოგადოების მოქმედების შესახებ და აღნიშნა მოკლედ ყველა ის დაბრკოლება, რაც ხელს უშლიდა „კოოპერაციის“ მოქმედებას დღემდე:

ბ. ტუსკია: პირველი დაბრკოლება გამოიხატება, ბ ბო, იმაში, რომ ჩვენმა საზოგადოებამ ვერ შესძლო შედგენა მოსამსახურე შტატის, რაც დიდათ აფერხებდა ჩვენს მოქმედებასა და კეთილი სურვილების სისრულეში მოყვანას. იყო მაგალითად, ისეთი შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი მოსამსახურე, რომელიც ხშირად ეცნობოდა ჩვენს შინაგან საიდუმლოებას, რჩებოდა ერთი თვის განმავლობაში და შემდეგ თავს ანებებდა ჩვენთან სამსახურს და ჩვენს წინააღმდეგ ეწეოდა აგიტაციას. ამასთანავე დიდი დაბრკოლება გამოიწვია მუშა ხელის სიმცირემაც, თანამედროვე ომის გამო, რომელიც გახდა მიზეზათ იმისა, რომ ვერ შევქმენით ძლიერი შტატი მოსამსახურეთა. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი უპირველესი განზრახვა იყო, უკეთესი ხარისხის პური მიგვეწოდებია ქუთაისის მცხოვრებთათვის, ვინაიდან ყველა ჩვენგანმა იცის, თუ რა რიგ ცუდი ხარისხის პურს აწოდებდნენ ქალაქის მცხოვრებთ, ადგილობრივი თავგასული მეპურეები.

მიუხედავათ იმისა, რომ პურის ნიხრმა საგრძნობლათ აიწია, ჩვენ მაინც პირველ ხარისხის პურს 18 კ, ვყიდდით, რამაც თანაგრძნობა გამოიწვია საზოგადოებაში ჩვენმა მოქმედებამ, ერთი იმით, რომ უკეთესი ხარისხის პურს ვაწვდიდით და მეორეც იმიტომ, რომ შედარებით ჩვენს თავგასულ მეპურეებთან წესიერად და თანაგრძნობით ვეპყრობოდით ჩვენს წევრთ. მიუხედავათ იმისა, რომ არ გვქონდა საშუალება, პურის ფქვილი პირ და პირ რუსეთიდან გამოგვეწერა და ფქვილს ადგილობრივ ვიძენდით, დღეში, ყოველ ანგარიშის გასწორების შემდეგ მაინც 1—50-დან 2 მან. მოგება გვრჩებოდა. ამ რიგათ პურისა და შაქრის გაყიდვით ჩვენს საზოგადოებას დარჩა სულ 589 მ. და 2 შაური

ი კაკაბაძე. მე თქვენი „ფოკუსური“ ანგარიში მაკვირვებს, რა ადგილი უნდა ჰქონდეს მოგების შესახებ ლაპარაკს. მე ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენში არ შეიძლება არსებობდეს ნამდვილი წმინდა მომხმარებელი საზოგადოება „კოოპერაცია“. ჩვენში მხოლოდ ასეთ დაწესებულებას „დუქნური“ ჩარჩული“ ხასიათი აქვს და სხვა არაფერი.

ბლ. თოდაკვაძე. სწორედ არ გამეგება, რომელ „ფოკუსებზე“ ბრძანებს ბ-ნი ორატორი. ჩვენ არ გვმართებს, ბ-ნო, გამგეობისადმი ასეთი საყვედური. პირიქით, საჭიროა უფრო სიმპატიით მოპყრობა საზოგადოებისადმი.

პ. გედევანიშვილი აუცილებლად ღირსნი არიან პატივისცემისა გამგეობის წევრები, ვინაიდან მე მესმის მათი სულისკვეთება, როგორც გამოცდილს ამ საქმეში, და არავითარი საყვედური ამ შემთხვევაში საჭირო არ არის.

მცირეოდენი კამათის შემდეგ, სარევიზიო კომისიის წევრთა მონდობილობით ბ-ნ იასონ გაბილაია კითხულობს მოხსენებასა და ადასტურებს გამგეობის მიერ წამოყენებულ ანგარიშს. კრება ერთხმად ამტკიცებს ანგარიშს.

მცირე კამათს იწვევს აგრეთვე სავაჭრო პუნქტების ან კიოსკების განაპირა უბნებში მოწყობის საკითხი. გამოითქვა სხვა და სხვა აზრი, და ბოლოს კრებამ დაადგინა დაევალოს გამგეობის წევრთ, მოიქცენ ისე, როგორც მათ უკარნახებენ ხალხის ინტერესები და აუცილებელი საჭიროებანი „კიოსკების" სხვადასხვა უბანში მოწყობისა. კრებამ ამასთანავე დაამტკიცა 1916 წლის ხარჯთაღრიცხვა.

კრებამ განსაზღვრა გამგეობის წევრთა რაოდენობა, და დაადგინა 5 კაცის მაგიერ გამგეობაში ამოირჩიონ 7 კაცი. რადგან ზოგიერთმა არ ისურვა სხვა და სხვა მიზეზების გამო გამგეობის წევრებათ დარჩენა; კრებამ ხელახლად აირჩია და შეავსო გამგეობის წევრთა რაოდენობა.

ძველი წევრებიდან გამგეობაში დარჩენ: ია ეკალაძე, აკ. ხვიჩია, ოლღა შენგელია სი. კ მახვილაძე და პროკ. გეგენავა; კანდიდატებათ: იოსებ ხელაძე. თეოფ. ჯიმშელეიშვილი და ალ. კოხრეიძე.

სარევიზიო კომისიის წევრებათ; იასონ გაბილაია, იოსებ გუგუნავა და სპ ლეკვეიშვილი; კანდიდატებათ: ბესარიონ ჯაიანი და იასონ ახვლედიანი.

სარევიზიო კომისიის წამოყენებული ინსტრუქციები გადაეცა განსახილველად საზოგადოების მიერ ამორჩეულს რამდენიმე კაცს.

ამასთანავე კრებამ დაადგინა, ქუთაისის მომხმარებელმა საზოგადოებამ, მიიღოს მონაწილეობა ამიერ კავკასიის კავშირში და დაევალოს გამგეობას გაგზავნოს თავის წევრებიდან ორი დელეგატი. კამათი გამოიწვია ქუთაისში მეორე მომხმარებელ საზოგადოების ,,კოოპერაციის'' დაარსების საკითხმა.

გ. ტუსკია აღნიშნავს რა მეორე მომხმარებელ საზოგადოების დაარსების განზრახვას გადაჭრით უარყოფს ასეთი მოვლენა დაქსაქსავს ხსენებულ საქმის მოყვარულ ძალებს და ამით ზიანს მოუტანს საზოგადოებასო.

იასონ გაბილაია იზიარებს ტუსკიას აზრსა და არა სასურველად სცნობს ასეთ მოვლენას.

გრ. ლაღიძეს, პირიქით, სასურველად მიაჩნია ასეთი საზოგადოების დაარსება. კრებამ მცირე თათბირის შემდეგ დაადგინა, მოისპოს ამ საკითხის შესახებ ყოველგვარი კამათი, ვინაიდან ჩვენ უფლება არ გვაქვს ვიმსჯელოთ ამა თუ იმ საზოგადოების დაარსების წინააღმდეგო.

კრებამ გაითვალისწინა აგრეთვე მიმდინარე საქმეები და დაიშალა საღამოს 5 საათზე.

დ—თ.

ღია წერილი

თავად ნიკო ფალავას.

თქვენ, ბ. პ. იაშვილის მოციქულს, მოგითხოვიათ დაკმაყოფილება ბ ეკალაძისაგან „სამშობლოში" მოთავსებული ერთი წერილის გამო. მაგრამ, თუმცა ბ. ია ეკალაძე, „სამშობლოს" ოფიციალური რედაქტორია, ნამდვილად პასუხისმგებელი მთელი სარედაქციო კოლეგიაა, რომელიც ყოველსავე საკითხს ხმის უმეტესობით სწყვეტს და რომლის ერთერთ წევრად, სხვათა შორის, იაც არის. ამიტომ პასუხისგებას სარედაქციო კოლეგია კისრულობს და არავის არ აქვს უფლება მოსთხოვოს პასუხი პირადათ ია ეკალაძეს

ვასილ წერეთელი.

ერობის მოლოდინში.

ნივთიერად მოღონიერების, თუ სხვა კულტურულ განვითარების გზაზე იმ მცირედ უფლების მოკლებამ, რომლითაც შიდა რუსეთის მკვიდრნი კარგა ხანია სარგებლობენ, ყოველი მხრით შებოჭვილი ქართველი ერი

რამდენიმე ხნით დაეშორა წინსვლა-აღორძინების გზას.

რუსეთის ბედილბლის მატრიალებელთათვის, რაც მიუცილებელი საჭიროდ ითვლებოდა რუსეთის შიდა გუბერნიების, თუ იმპერიის სხვა კუთხის მცხოვრებთა მიმართ, ყოვლად შეუწყნარებელი და შეუძლებელია საქართველოსთვის,

ზამისლოვსკები, გუჩკოვები, მარკოვები გორემიკინები, ხვოსტოვები და სხვა ძმანი მათნი ამას აშკარად გრძნობენ, გრძნობენ რომ მათ შხამიან მოქმედებას ნიადაგი ეცლება, მაგრამ რას იზამენ....

ძლიერ ხმას, რომელიც ხალხის გულიდან არის ამოხეთქილი, ვერავითარი ბიუროკრატული კედელი ვერ აღუდგება.

დღეს განსაკუთრებულ საერთო მწუხარებისა და აფორიაქების ხანაში, როდესაც სახელმწიფოს წინაშე ხალხი უძრავ მსხვერპლს სწირავს,

ხოლო დღეს შექმნილმა განსაკუთრებულმა პირობებმა აიძულა

მეტი ყურადღებით მოპყრობოდა ხალხს და იმის მოთხოვნილებისთვისაც ჯეროვანი ანგარიში გაეწია. სწორეთ ამ განსაკუთრებულ პირობებს მიეწერება კავკასიის ერობის საკითხის განხილვა სათათბიროში, რასაც, იმედი, გვაქვს დღეს რუსეთის მმართველი წრეები წინანდებურათ აბუჩად ვერ აიგდებენ.

ამრიგათ მრავალ ტანჯულ კავკასიას და მასში ჩვენს ქვეყანას იქნებ რამე ეშველოს.

დღეს ჩვენ საჭიროთ ვსთვლით, რომ ყოველმა შეგნებულმა ქართველმა, რომელიც თავის ხალხის ინტერესს იზიარებს და მისი მომავალი სწამს, მოსალოდნელ საერობო კანონ-პროექტს ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, რომ ჩვენში ისეთი ერობა შემოიღონ, რომელიც ქართველი ერის ტკივილებსა და წყლულს მალამოთ მოევლინება.

ი. დ—ძე.

საცდელი მინდვრები.

ყველამ ვიცით, რომ მიწის ნიადაგი გამოიფიტა, იგი საკმაო ნაყოფს აღარ იძლევა. ამ გარემოებამ ჩვენი სოფლის გლეხიც იმ დასკვნამდი მიიყვანა, რომ დღევანდელი წესით მიწის დამუშავება მეურნესათვის ხელსაყრელი არ არის, მამა პაპური სახნისის უვარგისობა იმანაც შეიგნო, მაგრამ მაინც კავ-სახნისს არ ეშვება და ძველი დახავსებული წესით ჩიჩქნის მიწას. ამის მიზეზი ბევრია. სხვათა შორის ერთ უპირველეს მიზეზათ უნდა ჩავთვალოთ ის, რომ ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი კუთხის გლეხს, მაგალითად, ზემო იმერელს, ვერას გზით ვერ დაარწმუნებთ, თუ მის აღმართ-დაღმართიან ადგილში ახალი სისტემის გუთანი მიწის სახნავად გამოდგება. აგრეთვე ბევრს ჩვენებურს გლეხს ჯერ კიდევ ვერ წარმოუდგენია, თუ სიმინდის მარგლისდროს თოხის მაგიერობას სხვა რამე ახალი სამეურნეო იარაღი შეასრულებს. ყველა ამაში დასარწმუნებლად ცოცხალი მაგალითია საჭირო ამ მხრით კი საუკეთესო მაგალითს საცდელი მინდვრები წარმოადგენს. სამწუხაროდ ჩვენდა, ასეთი საცდელი მინდვრები, ისეთ სამეურნეო ქვეყანაში, როგორიც ჩვენი სამშობლოა, ძლიერ ცოტა მოგვეპოვება, მთელ შორაპანის მაზრაში თუ არ მივიღებთ მხედველობაში საქარის „პიტომნიკს", რომელიც მევენახობის მხრით უფრო საგულისხმო, ერთი საცდელი მინდორიც არ არის გაშენებული. ასევე უნდა ვსთქვათ რაჭისა და ლეჩხუმის მაზრების შესახებ სანოვაგე გვინდა. რომ იაფი იყოს და მეურნეობის გაცნობაში კი ხალხს ძლიერი ნაკლებად . ვეხმარებით. შარშან შემოდგომაზე ბ. შორაპნის მაზრის აგრონომმა, როგორც იქნა კიცხის საზოგადოების გლეხობას, რომლებიც მხოლოდ ათი ვერსის მანძილის სიშორეზე დაბა ზესტაფონიდან გააცნო სამეურნეო იარაღები, კარგი იქნებოდა შორაპნის მაზრის უფრო მივარდნილი კუთხის გლეხობისთვისაც ეჩვენებიათ ესევე იარაღები. თუ გვინდა, რომ ჩვენი გლეხობა თვითონაც მაძღარი იყოს და ჩვენც დაგვაპუროს, ყველა სასოფლო საზოგადოებაში თითო საცდელი მინდორი უნდა დაარსდეს, სადაც თავისი თვალით გაეცნობა ჩვენი გლეხობა მიწის რაციონალურად დამუშავებას —

მ. ბუაჩიძე

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

იტალიის ასპარეზი.

მთელ ფრონტზე გაცხოველებული ბრძოლაა. 16 მარტის ბრძოლაში იტალიელებმა რამდენიმე ათი კაცი ტყვეთ წამოიყვანეს,

ინგლისის ასპარეზი.

20 მარტი გუშინ ჩვენი აეროპლანები ენერგიულათ მოქმედებდენ. ჩვენმა ქვეითა ჯარმა მტრის ორი თხრილი ააფეთქა

ბელგიის ასპარეზი.

ჰავრი. მთელს ფრონტზე არტილერიის მოქმედება ცხოველდება.

ლონდონი. სამხედრო სამინისტრო იტყობინება, რომ საჰაერო ბრძოლაში აღმოსავლეთის საგრაფოში, როგორც ფიქრობენ, მონაწილეობა უნდა მიეღოს ხუთ ცეპელინს, რომლებმაც გადასჭრეს სანაპირო ადგილები, სხვა და სხვა ალაგს სხვა და სხვა დროს. ფიქრობენ, მათ ჩამოყარეს 80 ყუმბარა შედეგი ჯერ არ იციან. იტყობინებიან აგრეთვე, რომ მტრის საჰაერო რაზმმა გადაიარა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის კიდეები შედეგი არ იციან.

საფრანგეთის ასპარეზი

პარიზი. 19 მარტი. მდინარე ენის ჩრდილოეთით სწარმოებდა საარტილერიო სროლა. მულენსუცნისა ფონტენუასა და არგონებში ჩვენ ვესროდით მტრის რკინის გზის ლიანდაგს ოტბევოშის ჩრდილოეთით მდინარე მაასის დასავლეთ რაიონში. მაასიდან მალანკურის რაიონში საარტილერიო ბრძოლამ მიიღო მეტად უკიდურესი და მწვავე ხასიათი ორდემონის ტყის მახლობლათ, ვოს რაიონში გერმანელებმა ორი დიდი იერიში მიიტანეს. პირველი მიმართული იყო ჩრდილოეთ სამხრეთით და მოგერებულ იქნა საარტილერიო ცეცხლით მეორე იერიშის დროს, მტერმა შესძლო დაეჭირა დასავლეთი ნაწილი იმ სოფლისა, რომელიც ჩვენ ხელთ იყო ვევრთან. მტერმა რამოდენიმეჯერ აუტეხა სროლა იმ სოფლებს რომელიც მდებარეობენ მაასის მაღლობების კალთებთან, დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

ლონდონი. 19 მარტი. ოფიციალურათ იტყობინებიან, რომ ღამე მდინარე ტემზის კიდესთან ჩამოეშვა დაზიანებული ცეპელინი, რომლის შემადგენლობა ტყვეთ დანებდა ჩვენს რაზმს. დირაჟაბლი ჩაიძირა.

ლონდონი. 20 მარტი. ოფიციალურად იტყობინებიან, რომ ლონდონიდან მომავალი გემი გულდმაუსი მტრის ნაღმოსნებს დაუღუპიათ. დაიჭრენ ერთი უმავთულო ტელეგრაფის მოხელე და ერთი მატროსი.

სხვა და სხვა ამბავი.

(პ. დ. ს.)

პრეზიდენტმა პუანკარემ ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლითაც გენერალი ლიოუბა იდი ინიშნება პარიზის სამხედრო მინისტრათ.

პარიზი. სასამართლოში დაიწყო იმ პირთა საქმის გარჩევა, რომელსაც სამხედრო სასწავლებლებში უვარგისი ხალხის მიღებისთვის ხელი შეუწყვია.

პეტროგრადი. სენატის პირველ დეპარტამენტის ბრალმდებელი სტეფანოვი დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგათ.

სარატოვი. რკინის გზის გზაზე საფოსტო მატარებელი ისრის ბრუდით დაყენების გამო სვეტს დაეჯახა. დაშავდა რვა მგზავრი და მესრე.

რიგა. დასავლეთ დვინაზე ნავოსნობა განახლდა, გემ ,,პორტიუგალის'' დაღუპვის გამო.

პეტროგრადი. წითელი ჯვრის მთავარ რწმუნებულმა ყველა ნეიტრალ და მტრის სახელმწიფოებში საჰოსპიტლო გემის „პორტუგალის'' დაღუპვის გამო პროტესტი განაცხადა.

ვორბატოვი. ამ მხარის რამდენიმე სოფლებმა განაჩენი გამოიტანეს, რომლის ძალითაც ყველა მცხოვრებთ ეკრძალებათ კარეს ლანდის თამაში და სხვა უქმათ დროს გატარება.

როგჩევო. დნეპრზე ნავოსნობა განახლდა.

ვიტებსკი. დვინაზე ყინვა თანდათან დნება.

პეტროგრადი. აქ დიდი აღელვება გამოიწვია გემ ,,პორტუგალის დაღუპვამ.

ანგარიში

ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების სასარგებლოთ გამართულ საღამოსი საზოგადო საკრებულოს დარბაზში 12 იანვარს 1916 წელს.

შემოსავალი:

შესასვლელი ბილეთებიდან 1030 მ. 50 კ., პროგრამების გაყიდვიდან 80 მ 65 კ, შამპანურის და ყვავილების გაყიდვიდან 62 მან. 14 კ., ლატარია-ალეგრიდან 522 მ. 50 კ, ჩაის გაყიდვიდან 37—45, ფოსტა 7—42, პროცენტი ბუფეტიდან 96—30, დარჩენილი ნივთების გაყიდვიდან 28—57

შემოსწირეს ფულათ: ოცი მან. ინჟინერმა ა. ნ გოგავამ; ათ-ათი მანეთი: თავ. დ. ი. წილარაძემ, ი. მ. ნიქოლაძემ, სასამართლოს თავჯდომარემ ნ. პ. ფლოდოროვმა, ინჟინერმა რ. ი. კაკუბავამ, ინჟინერმა კ ი ძნელაძემ, ექიმ გ. მ. მუსაძემ, ნ, მ. პოკერიასამ, ნესტორ ქვარიანმა და ნომერმა; ხუთ ხუთი მანეთი: ეპისკოპოსმა გიორგიმ, პრინცმა მიურატმა, დონ-დიმიან საკაშვილმა, თავ. იზმაილოშვილმა, სასამართლოს პროკურორმა გ. ა. თუმანოვმა, ტ. მ. ჯაფარიძემ, ე. პ. ხოჯევანიშვილის ასულმა, ე. გ. ვასილიევისამ, ვ. ა. ბადანჩივაძემ, ძმ. გოგიელოვებმა, გრ. ი. გველესიანმა, პ. ნ. რაფაელოვმა, ი. გ. ანჯაფარიძემ, მ. ე. ლადიძემ, იასონ ბ. ბურგილავამ და ნ. მ. ჯანელიძემ; სამ სამი მან.:

დეკ. ბ. პ. ტეგერე
—რეზანისამ, ან. ე. გ.
მე 110 სათადარ.
მონოვმა, კ. ი. მ
დაძემ, ლ. ე. აღლომემ, ადარიან
ძემ, ძმ. ბექაიებმა და ა. ბ. ქომეთიანმა,
ორი მანეთი: გ. ტუეშელიშვილმა, ი.
სიამ და ძმ. ფექარროვებმა; თათო
ვლიდ. ბერძენაძემ და მეთიდე ხმელ
გ. ი ტუგაძემ. სულ 2094 მან. 3 კაპ.

გასავალი:

მომღერლებს ბერნარდის და სო
220 მან., დარბაზის ქირა 50 მან.,
ტრის ქირა 33 მ., ლატარიისათვის ნ
უიდვა 38 მ., ბარათების, აფიშის და
შის დაბეჭდვა, გაკვრა და დარიგება 45
განცხადების დაბეჭდვა გაზეთში 14
მარკები 40 მ., პარიკმახერს 7 მ.,
ქაღალდი და კონვერტები, ლენტები,
ლები ლატარიის ბილეთებისათვის
36 მ. 13 კ., საკანდიტრო სანოვაგე 1
ტანისამოსის ქირა 8 მ., ბუფეტის
რადრეს, მეთარეთათვის და სხვ. 11
წვრილი ხარჯი 15 მ. 80 კაპ. სულ 53
53 კაპ.

წმინდა შემოსავალი 1557 მან. 5
აქედან 1305 მან. უკვე გაეგზავნა ს
ტებს სხვადასხვა საუნივერსიტეტო ქალ
ერთდროული დახმარების სახით.

სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების
გეობა უღრმეს მადლობას უცხადებ
მოხსენებულ ქველმოქმედთ, რომელ
ლეხვათ დაეხმარენ ამ სიმპატიურ
დებას. აგრეთვე დიდ მადლობას
გამგეობა დიდათ პატივცემულ მადამ
და მის დასს, ბ. ფიქრენკოს, ნუმის,
გას, აკაკი ფალავას სალიტერატურო ნ
უსასყიდლოთ მონაწილეობის მიღებისა
მაზოდ შარაბიძეს სტ. ხიარის მიწ
გაზ. „სამშობლოს" რედაქციას—განცხ
უფასოთ დაბეჭდვისათვის, მამაჯანოვს—
დლეულობის უფასოთ ოთხვებისათვის და
იმ პირს, ვინც ხელი შეუწყო საღამოს
თვის და ბ. ქუთაისის ვაჭრებს, რომე
შემოსწირეს ნივთები ლატარიისათვის
მეღთა გვარები უკვე იყო მოხსენ
„სამშობლოს" 239, 241, 244, 24
282 ნომრებში..

საღამოს გამგე—თავჯდომარე საზოგად
გამგეობისა **ელ. ნ. ხეჩინოვისა.**

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხანაგობა „**სამშობლ**

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
—მიღებულია დიდძალი—
საპნის გასაკეთებელი სოდა
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზ
ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

ავათმყოფნი გონორეი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ **მორნისა.**

ბლენიოზოლი შედგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საქიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტრიპერის, ჰაჰების და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ხდის შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ **„ბლენიოზოლი"**, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საქიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

ბ. კოლგგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის" ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მიმანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი უერთგულესი **ია. ნ. კოლგგოვი.**
ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლოური)

მეწრადლომბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა—ქუთაისში.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.